დამტკიცებულია შპს მარნეულის
კოლეჯის დირექტორის
2019 წლის 4 ოქტომბრის
N 38 ბრძანებით

შპს მარნეულის კოლეჯი

# საბუღალტრო აღრიცხვის ერთწლიანი სასერტიფიკატო

# საგანმანათლებლო პროგრამა

მარნეული 2019 წელი

I. **სახელწოდება:** საბუღალტრო აღრიცხვა

II. **პროგრამის ხელმძღვანელი** --- ნათელა ხარაზიშვილი

III. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სკოლის** საბაზო ან სრული განათლება, ქართული ენის ფლობა B1 დონეზე.

IV. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბიზნესერთეულებში, როგორც ბუღალტერი, საფინანსო სამსახურის (ბუღალტერიის) სპეციალისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი (დამხმარე ბუღალტერი, რომლის სამუშაო ადგილი ბიზნესერთეულებში შეიძლება მოიხსენიებოდეს, როგორც ბუღალტრის მოადგილე, ბუღალტრის ასისტენტი და სხვ.) და ა.შ.

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია მისცეს პირს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების, საგადასახადო დაბეგვრის ზოგადი პრინციპებისა და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობისათვის აუცილებელი ძირითადი საკითხების ცოდნა.
გამოუმუშაოს სამეურნეო ოპერაციის აღქმისა და შეფასების, სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტირების, ბუღალტრული მონაცემების დაჯგუფებისა და რეგისტრაციის, საბუღალტრო რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციის ასახვის, ბუღალტრული ანგარიშების დახურვის, საშემოსავლო და დღგ-ის აღრიცხვის, საცდელი ბალანსის შედგენის, დანახარჯების კლასიფიკაციის, პერიოდიზაციისა და თვითღირებულების კალკულაციის, შიდა მენეჯმენტისთვის ანგარიშგების შედგენა-წარდგენისა და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის გამოყენების უნარები;

V. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების მოპოვებაში მონაწილეობა
- სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში და კომპიუტერული პროგრამისგამოყენებით
- შიდამოხმარების მიზნით (ოპერატიული მართვისათვის) ანგარიშგების მომზადება-წარდგენა
- საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მონაწილეობა

VI. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- **პროგრაის მოცულობა: 600**
- **პროგრამის ხანგრძლივობა 40 კვირა**

VII. **პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსები**

| | **სასწავლოკურსის დასახელება დასახელება** | **საათები** |
|---|---|---|
| 1. | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 19 |
| 2. | ინფორმაციული წიგნიერება | 57 |
| 3. | რაოდენობრივი წიგნიერება | 38 |
| 4. | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | 57 |

| | | |
|---|---|---|
| 5. | ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება | 57 |
| 6. | სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები | 38 |
| 7. | საგადასახადო დეკლარირება | 19 |
| 8. | სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა | 63 |
| | ინვენტარიზაცია | 21 |
| | კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა | 126 |
| | ფინანსური ანგარიშგების შედგენა | 63 |
| | მეწარმეობა | 42 |
| | **სულ:** | 600 |

## VIII. პროგრამის მსმენელის მიღწევების შეფასება:

- შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
- განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
- შეფასების ინსტრუმენტები გაწერილია სასწავლო კურსებში.
- ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით.
- შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულების კონკრეტულ ფორმას სასწავლო კურსის მასწავლებელი შეიმუშავებს სწავლის განხორციელების პროცესში.

## IX. სერტიფიკატის გაცემის წესი

სერტიფიკატის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი მიიღებს დადებით შეფასებას და დაადასტურებს სასწავლო კურსების ყველა სწავლის შედეგს. სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანიზაციაა შპს მარნეულის კოლეჯი.